



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ ილია ღუდუშაურს

ბატონო ილია,

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ზაზა შეყილაძე

გენერალური აუდიტორის მოადგილე

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	4
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	21
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ..	24
საკონტაქტო ინფორმაცია	27

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

დევნილთა სააგენტო – სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

ეკონომიკის სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ინვენტარიზაციის წესი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.

რეგულირების სააგენტო – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

სააგენტო – სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

საგანგებო სიტუაციების ცენტრი – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სოციალური სააგენტო – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

სოლიდარობის ფონდი – ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ტექნოლოგიების სააგენტო – სსიპ – ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“.

ქონების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ცვეთის დარიცხვის ინსტრუქცია – საქართველოა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

ცენტრი – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ჰოლდინგი – ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

1. რეკომენდაციები

1.1 მოკლევადიანი მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

ცენტრალურ აპარატში 2022 წელს არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია, არ გაფორმებულა ურთიერთშედარების აქტები, არ ჩატარებულა დებიტორული დავალიანების რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლის ღონისძიებები.

ცენტრალური აპარატის „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ საბოლოო ნაშთში ასახულია:

- „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის პროგრამის“¹ ფარგლებში, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ მიმართ არსებული 20,547,605 ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც 11,498,839 ლარზე კლინიკის მიერ სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე 2024 წელს წარმოდგენილია ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლა-დამუშავების პროცესი. სამინისტროს განმარტებით, დარჩენილი აუთვისებელი თანხა 9,048,766 ლარი, ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან მიზნობრიობის ცვლილებას.
- შპს „ჯი ენ ელ“-ის მიმართ „წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების“ მუხლზე ასახულია 3,393,478 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოშობილია საქართველოს მთავრობის განკარგულების² მიხედვით, ლატარიის ორგანიზების შესახებ გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულების³ საფუძველზე. სამინისტროს მცდელობის მიუხედავად, მხარეებს შორის ურთიერთშედარების აქტი არ არის გაფორმებული.⁴
- ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობის მიმართ აღრიცხულია 2019-2021 წლებში წარმოშობილი 31,914,593 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს საგრანტო პროექტის (KFW) ფარგლებში დონორის მიერ გადარიცხულ თანხას და ნაწილი ასახულია 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში.⁵ სამინისტრო აღნიშნული თანხის დამადასტურებელ დოკუმენტაციას არ ფლობს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ზემოაღნიშნული მოთხოვნა დაიფარება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით გაფორმებული ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე, რომელზეც მუშაობენ სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და პროექტის წარმომადგენლები.
- 12,366,380 ლარის მოთხოვნები, რომლებიც წარმოქმნილია 2011-2018 წლებში სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ორგანიზაციამ ვერ

¹ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 განკარგულება.

² საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 სექტემბრის N1627 განკარგულება.

³ ხელშეკრულების მხარეები: ფინანსთა სამინისტრო, დამფინანსებელი - ჯანდაცვის სამინისტრო, ლატარიის ორგანიზატორი - შპს „ჯი ენ ელ“.

⁴ აღნიშნული საკითხი ასევე მითითებული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

⁵ „არაფინანსური აქტივებისა“ და „სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯის“ მუხლებში.

წარმოადგინა მოცემული დავალიანებების აღსრულების შესახებ ინფორმაცია, ასევე არ არის შეფასებული მათი ამოღების ალბათობა.

- 2007-2019 წლებში ინვენტარიზაციების შედეგად წარმოშობილი არაფინანსური აქტივების დანაკლისი – 1,015,734 ლარის ოდენობით. დანაკლისის აღდგენისთვის გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები და მათზე რეაგირების მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია, სამინისტრომ ვერ წარმოადგინა.⁶

სააგენტოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის⁷ შედეგად ირკვევა, რომ ვერ მოხერხდა 2011-2017 წლებში წარმოშობილი 2,656,976 ლარის მოთხოვნების პირველადი დოკუმენტების მიხედვით იდენტიფიცირება. ასევე გამოვლინდა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2011-2017 წლებში სამედიცინო დაწესებულებებისადმი დაკისრებული 4,345,987 ლარის ღირებულების სანქციები, რომელთა აღსრულებაც არ ხორციელდება.

ცენტრის „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლში ასახულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიმართ არსებული 4,944,561 ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის დადასტურების მიზნით გაგზავნილია დასტურის წერილი. მიღებული პასუხის მიხედვით, დებიტორული დავალიანება წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში, აშშ დოლარში. ვინაიდან აღნიშნული დებიტორის მიერ ვერ იქნა მოწოდებული დებიტორული დავალიანების ნაშთის შესაბამისი ჩარიცხვების შესახებ დეტალური ინფორმაცია, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ დასტურდება მოცემული დებიტორული დავალიანების სისწორე და სისრულე.

ცენტრალური აპარატის ვალდებულებების ანგარიშზე აღრიცხულია წინა წლებში აღიარებული 8,405,808 ლარის – 2010 წლამდე წარმოქმნილი გაურკვეველი დავალიანებები; მათი წარმოშობის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა და არ არის იდენტიფიცირებადი კონკრეტული კრედიტორების დონეზე. დავალიანების ნაშთების დასადასტურებლად კრედიტორთა რეესტრიდან შერჩეულ ორგანიზაციებთან, კრედიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის მოტივით, არ არის გაგზავნილი დასტურის წერილები. კრედიტორული დავალიანების ნაშთიდან – 12,055,447 ლარის დავალიანება 2003-2019 წლებშია წარმოშობილი, რომლებზეც წლის ბოლოს არც შედარების აქტებია გაფორმებული და არც ინვენტარიზაცია ჩატარებულა.

სააგენტოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია „მიმდინარე ანარიცხები“, რომელიც წარმოშობილია სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიმწოდებლად დარეგისტრირებული სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან წარმოდგენილი 2022 წლის იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულებისგან, რომლებზეც საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, არ იყო გაფორმებული ან/და მიმდინარეობდა შესაბამისი დოკუმენტაციის დამუშავების პროცესი. სამედიცინო დაწესებულებების მიერ ინფორმაცია გარკვეული კომპონენტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ არ იგზავნება ელექტრონული ანგარიშგების მოდულში, მუშავდება პროგრამა „ჰესპერუსით“, შესაბამისად, მიმწოდებელი

⁶ ინვენტარიზაციის წესი, მუხლი 13, პუნქტი 2.

⁷ ინვენტარიზაცია ჩატარდა 2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით და მისი შედეგები დამტკიცდა 2023 წლის 5 აპრილს, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ვერ იქნა გათვალისწინებული ინვენტარიზაციის შედეგები.

მიზეზი	უზრუნველყოფს განმახორციელებელთან საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენას ნაბეჭდი და CD დისკით (ელექტრონული სახით). ანგარიშგების მომზადების ეტაპზე⁸ მატერიალური ფორმით წარდგენილი 2022 წლის შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დამუშავების პროცესი გრძელდებოდა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება სრულად არ ასახავს 2022 წელს წარმოშობილი „მიმდინარე ანარიცხების“ ღირებულებას. აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა და კონტროლის სისუტე; ინვენტარიზაციის ჩატარებლობა და მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა.
გავლენა	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“, „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“, „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა“, მიმდინარე ანარიცხების“ და „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ მუხლებში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წინა წლებში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები, რომელთა შესრულების სტატუსებია: მიმდინარე და ნაწილობრივ შესრულებული (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაციები N2, N3.
კომპონენტები, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ცენტრალური აპარატი, სააგენტო და ცენტრი.
აუდიტის მიგნება	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში აღრიცხულია 2006 წლიდან 2022 წლის ჩათვლით 1,461 ფიზიკური პირის მიმართ წარმოშობილი 24,539,988 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოქმნილია . საქართველოს ფარგლებს გარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების გადარიცხვით – სამინისტროს განმარტებით, დებიტორული დავალიანება აღიარდება თანხის გადარიცხვის მომენტში და მისი ჩამოწერის საფუძველია ბენეფიციარის ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ცენტრალურ აპარატსა და სოლიდარობის ფონდში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია და დავალიანებები არ არის შეფასებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად. სამინისტროს განმარტებით, რომ 2023 წლის ინვენტარიზაციის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დებიტორული დავალიანება შემცირდა ,დაახლოებით, 11 მლნ ლარით, ასევე შევიდა ცვლილება საქართველოს ფარგლებს გარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების გადარიცხვის წესში, რომლის მიხედვითაც სოლიდარობის ფონდის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის საფუძველზე საქართველოს ფარგლებს გარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების/მედიკამენტის ხარჯი ანაზღაურებას ექვემდებარება სამკურნალო დაწესებულების, ან მაძიებელის/წარმომადგენელის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

⁸ 2023 წლის 15 მარტის მდგომარეობით.*

მიზეზი

კონტროლის სისუტე; ინვეტარიზაციის ჩატარებლობა და მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებებისა“ და „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლებზე ასახული 24,539,988 ლარის საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განხორციელდეს რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში წარმოშობილი მოთხოვნების სრული და დეტალური ინვენტარიზაცია, ასევე განხორციელდეს კომუნიკაცია შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებთან და ბენიფიციართან (ან მის წარმომადგენელთან) ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მისაღებად. აღნიშნული ინვენტარიზაციის და მის საფუძველზე მოთხოვნების რეალობის (ამოღების) შეფასების შედეგები ასახულ იქნეს მომდევნო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

**კომპონენტები, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

ცენტრალური აპარატი და სოლიდარობის ფონდი.

1.2 მატერიალური მარაგები**აუდიტის მიგნება**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 167,060,466 ლარს შეადგენს, საიდანაც არსებითი ნაწილი – 45,380,068 ლარი სააგენტოსა და 99,617,761 ლარი ცენტრის მარაგების ნაშთია.

ცენტრში 2022 წელს ჩატარებულია მარაგების ინვენტარიზაცია, რიგ შემთხვევებში განხორციელებულია მარაგების ფაქტობრივი აღწერა,⁹ წარმოდგენილ რეესტრებში არ არის გამოყვანილი შედეგი – სხვაობა ფაქტობრივსა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის.

ცენტრის მიერ აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი შიდა მოხმარებისთვის გახარჯული მარაგების ჩამოწერის დოკუმენტები რიგ შემთხვევაში არასრულყოფილია. კერძოდ, წარმოდგენილი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების ნაწილი არ აკმაყოფილებს აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს,¹⁰ რადგან მასში არ არის მითითებული ეკონომიკური მოვლენის განხორციელებისა და დოკუმენტის შედგენის თარიღები, ასევე პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები.

ცენტრი იყენებს მატერიალური მარაგების მართვის და აღრიცხვის ელექტრონულ სისტემას – სასაწყობო/ლოჯისტიკურ მოდულს. აღნიშნული სისტემა არ არის ინტეგრირებული ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის რეესტრებთან და, ამასთანავე, ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ მარაგები არ აღირიცხება აღნიშნულ სისტემაში.

ცენტრალური აპარატის მიერ საანგარიშო წელს არ არის ჩატარებული მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია. წლების განმავლობაში 1,836,284 ლარის უძრავი ნაშთის მქონე მარაგებიდან დიდი ნაწილი ინახება სოფელ

⁹ 31,384,870 ლარის მატერიალური მარაგი, მათ შორის: გურია - 23,373 ლარი, იმერეთი - 16,703,318 ლარი, თელავი - 188,401 ლარი, რაჭა-ლეჩხუმი - 17,641 ლარი, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 23,133 ლარი, სამცხე-ჯავახეთი - 44,682 ლარი, ფოთი - 18,331 ლარი, ქიმიური ლაბორატორია - 51,729 ლარი, შიდა ქართლი - 21,745 ლარი, თბილისი - 13,643,508 ლარი, აჭარა - 649,012 ლარი.

¹⁰ ინსტრუქცია, მუხლი 6, პუნქტი 7.

მიზანი გავლენა რეკომენდაცია	მუხრანის (მცხეთის მუნიციპალიტეტი) საწყობში. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულ საწყობში განთავსებული მარაგები არის გამოუსადეგარი და შემდგომი განკარგვის მიზნით იგეგმება ქონების სააგენტოსთვის ეტაპობრივად გადაცემა, რომლის ერთი ეტაპი 2022 წელს უკვე განახორციელა სამინისტრომ. დანარჩენ მარაგებთან დაკავშირებით, 2023 წელს მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და მარაგების ნაშთი დაზუსტებული იქნება საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად. მარაგების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე აღრიცხული 35,444,648 ლარის აქტივების არსებობასა და სისწორეზე.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაციებმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებით შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. შეფასდეს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული აქტივები აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს; ასევე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წინა წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე. (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია N4. ცენტრალური აპარატი და ცენტრი.

1.3 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სამინისტრომ გაცემული სესხის პირობების დარღვევის გამო მიღებული სესხის თანხის დაფარვისა და ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ჯარიმის მოთხოვნით, 2018-2021 წლებში აღძრა სასამართლო საქმე 3 კლინიკის მიმართ.¹¹ აქედან, ორმა კლინიკამ სრულად დაფარა როგორც სესხის, ასევე დაკისრებული ჯარიმის თანხა,¹² ხოლო ბუღალტრულ რეესტრებში ასახულია მხოლოდ ერთი კლინიკის – შპს „ალსის“ მიერ სესხის თანხის დაფარვა; მესამე კლინიკას – შპს „თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს“ 2018 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს 70,415 ლარის გადახდა,¹³ რომელზეც მიმდინარეობს იძულებითი სააღსრულებო წარმოება და დღეის მდგომარეობით გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. საავადმყოფოს მიმართ დაკისრებული ჯარიმა სამინისტროს ბუღალტრულ რეესტრებში დარიცხული არ არის და არც ფინანსურ ანგარიშგებაშია წარდგენილი.
-------------------------------	---

¹¹ შპს „ალსის“, შპს „თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფო“ და შპს „სამედიცინო ცენტრი „ნეოკლინიკა“, რომელმაც 2018 წლის 14 სექტემბრიდან შეიცვალა საფირმო სახელწოდება (დღეს - შპს „ნეო ჯგუფი“).

¹² შპს „ალსის“ და შპს „ნეო ჯგუფი“.

¹³ სესხის ძირითადი თანხა - 56,332 ლარი, პირგასამტეხლო - 14,083 ლარი.

შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ 11,267 ლარით, ხოლო შემცირებულია „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები“ – 9,083 ლარით.¹⁴

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად, მიღებული სესხების თანხის დადასტურების მიზნით, სამინისტრომ გააგზავნა დასტურის წერილები სესხის მიმღებ ორგანიზაციებთან. მათგან მხოლოდ 49 ორგანიზაციამ დაგვიდასტურა აღნიშნული სესხის არსებობა.

ზემოხსენებული სამი სასამართლო საქმის გარდა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა ინფორმაცია, არის თუ არა გაწერილი გაცემული სესხის მართვასთან დაკავშირებული მონიტორინგის პროცედურები და მისი აღსრულების პროცესი; რა ღონისძიებებს ატარებდა სამინისტრო წლების განმავლობაში იმის დასადგენად, ასრულებდნენ თუ არა სესხის მიმღები ორგანიზაციები ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. კერძოდ, სამინისტრომ ვერ წარმოგვიდგინა:

- სესხის მიმღები ორგანიზაციებისათვის სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი და უწყვეტი მიწოდების კრიტერიუმები, რომელთა დარღვევაც დაექვემდებარებოდა დაჯარიმებას;
- იღებდა თუ არა სამინისტრო წლების განმავლობაში სადაზღვევო კომპანიის – „არქიმედე გლობალ ჯორჯიას“ გაკოტრების მმართველისაგან ინფორმაციას სესხის მიმღებთათვის კრედიტის დაფარვის შესახებ. მხოლოდ მიმდინარე აუდიტის პერიოდში, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად, შედგა აღნიშნული კომუნიკაცია;
- სამედიცინო დაწესებულების შესახებ ყოველკვარტალური ინფორმაცია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების სისტემიდან ან 6-თვიანი აუდიტორული დასკვნები;
- ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია გაცემული სესხების ხარჯვასთან დაკავშირებით.

მიზეზი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მონიტორინგის არარსებობა.

გავლენა

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ საბოლოო ნაშთში ასახული 4,844,823 ლარის სისრულესა და სისწორეზე.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მონიტორინგის წესის შემუშავებასა და განხორციელებას.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ცენტრალური აპარატი.

¹⁴ შემცირებულია 14,083 ლარით, ხოლო გაზრდილია - 5,000 ლარით.

2020-2021 წლებში **ჰოლდინგს** საქართველოს მთავრობის განკარგულებით,¹⁵ არსებობის ვადით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად, პირდაპირი გადაცემის ფორმით მართვის უფლებით, გადაეცა 6 სამედიცინო დაწესებულება.¹⁶

ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹⁷ და ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში ზემოაღნიშნული ორგანიზაციის აქციებისა და შპს-ების 100%-იანი წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლური ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცა ჰოლდინგს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის ბრძანების¹⁸ საფუძველზე, ჰოლდინგმა, როგორც მართვის უფლების მიმღებმა, უსაყიდლოდ არსებობის ვადით, მართვის უფლებით მიიღო კიდევ ორი საავადმყოფოს¹⁹ 100%-იანი წილი.

ასევე: 2021 წელს **სამინისტროს** საქართველოს მთავრობის განკარგულებით,²⁰ მართვის უფლებით პირდაპირი გადაცემის ფორმით, არსებობის ვადით, უსაყიდლოდ გადაეცა სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 100%.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,²¹ საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი,²² რაც ჰოლდინგში განხორციელებული არ არის.²³

წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია, მხოლოდ ცენტრალური აპარატის მიერ არასწორად იქნა გათვალისწინებული. 2022 წელს ცენტრალურმა აპარატმა აღიარა სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ წილი – სააქციო კაპიტალის ოდენობით, ამასთანავე, წილი არ არის კორექტირებული 2022 წლის ფინანსური შედეგის შესაბამისად.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით²⁴ განსაზღვრულია სსბასს-ის სავალდებულო მოთხოვნების გამოყენებიდან გადახრის საფუძვლები, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სავალდებულო მოთხოვნის შესრულება, ერთეულმა აღნიშნული ფაქტი უნდა გაითვალისწინოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, შესაბამისი გადახვევის მიზეზის ახსნით.

სამინისტროში არ არის შემუშავებული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელშიც ახსნილი იქნებოდა სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრის მიზეზები; ასევე კონსოლიდირებული ფინანსური

¹⁵ 2020 წლის 6 თებერვლის N222 განკარგულება და 2021 წლის 11 მარტის N349 განკარგულება.

¹⁶ შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“, სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“.

¹⁷ 2021 წლის 25 აგვისტოს N1471 განკარგულება.

¹⁸ 2021 წლის 9 სექტემბრის N1973 ბრძანება.

¹⁹ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ (245428880) და შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ (2454235514).

²⁰ 2021 წლის 16 აგვისტოს N1436 განკარგულება.

²¹ მუხლი 10, პუნქტი 46.

²² სსბასს 36, მუხლი 8.

²³ აღნიშნული საკითხი ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

²⁴ მუხლი 3, პუნქტი 1.

	ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სახელმწიფო საწარმოებში არსებული ინვესტიციების აღრიცხვაზე დაშვებულია სტანდარტებით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნებიდან ²⁵ გამონაკლისი/გადახრა, რომელიც სათანადოდ არ არის დასაბუთებული.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია N1.
კომპონენტები, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ცენტრალური აპარატი და ჰოლდინგი.

1.4 ძირითადი და არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება	ცენტრმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა სრულყოფილი ძირითადი აქტივების რეესტრი – არამატერიალური აქტივების, საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვისა და სატრანსპორტო მოწყობილობის ძირითადი ნაწილისათვის – თითოეული აქტივისათვის შემდეგი მონაცემების მითითებით: საწყისი ისტორიული ღირებულება და დაგროვილი ცვეთა. წარმოდგენილი რეესტრი არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ განმარტებით შენიშვნას. საგანგებო სიტუაციების ცენტრმა ვერ წარმოგვიდგინა სრულყოფილი ძირითადი და არამატერიალური აქტივების რეესტრი.²⁶ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებული გარკვეული სირთულეებით. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს ცენტრმა ჩაატარა ინვენტარიზაცია, საბოლოო შედეგები 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ვერ იქნა ასახული, ვინაიდან მიმდინარეობს მოკვლევა გამოვლენილ შედეგებზე. 2020 წლის 1 იანვრიდან საგანგებო სიტუაციების ცენტრი იყენებს იმ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს, რომლებიც არსებობის ვადით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრზე, რომლის სამართალმემკვიდრე გახდა – საგანგებო სიტუაციების ცენტრი. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამის მუხლებზე ასახული არ არის ქ. თბილისის 19 სხვადასხვა უბანში განთავსებული აქტივები – 4,200 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 4,352 კვ.მ შენობა-ნაგებობები.²⁷ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2022 წელს დაწყებულია მათ სარგებლობაში არსებული აქტივების ღირებულების დადგენა-შეფასების პროცესი და ზემოაღნიშნული აქტივების შეფასება ეტაპობრივად
-----------------	--

²⁵ სსპას 3, მუხლი 29.

²⁶ ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ წარმოებული რეესტრი.

²⁷ აღნიშნული საკითხი ასევე აღნიშნული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

მიმდინარეობდა 2023 წელს და შესაბამისად, აისახება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ცენტრალური აპარატისა და სოციალური სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებებიდან, 2022 წელს სრულად ამორტიზებულ იქნა 379,414 ლარის²⁸ ისტორიული ღირებულების ძირითადი საშუალებები. სბასს 17-ისა და სბასს 31-ის²⁹ შესაბამისად, აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება,³⁰ რაც განხორციელებული არ არის. სამინისტროს განმარტებით, 2023 წელს სოციალურმა სააგენტომ გარე აუდიტის მეშვეობით შეაფასა ამორტიზებული და ბალანსზე რიცხული აქტივების ღირებულება და გამუხასდვრა სასარგებლო მომსახურების ვადები.

ცენტრალურმა აპარატმა 2022 წელს 1 დეკემბერს, სამინისტროსა და შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ბუღალტრულად აღრიცხა სოფელ რუხში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) მდებარე რუხის მრავალპროფილური კლინიკა, ღირებულებით – 41,261,979 ლარი. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ გადასცემს, ხოლო სამინისტრო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იბარებს სოფელ რუხში მრავალპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობის დამტკიცებული პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების შედეგად მიღებულ აქტივს – N1, N2, N3, N4, N5, N6, N7 N8 და N9 შენობა-ნაგებობებს. აღნიშნული სამუშაოების დასაფინანსებლად სამინისტრომ 2014-2020 წლებში სამშენებლო კომპანიას ჩაურიცხა 41,261,979 ლარი, რომელიც სრულად ასახულია კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკასა“ და სამინისტროს შორის გაფორმებულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კლინიკა სარგებლობაში იღებს სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (43.10.42.174), მასზე განთავსებული/დამაგრებული შენობა-ნაგებობებით. ამასთანავე საკუთრების უფლება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულია 2022 წლის 6 ოქტომბრის მდგომარეობით.

შედეგად, 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ზემოხსენებული აქტივი ნაცვლად შემოსავლების ანგარიშისა აღრიცხული უნდა იყოს როგორც კაპიტალის კორექტირება.

საგანგებო სიტუაციების ცენტრის ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთში ასახულია:

- 147,494 ლარის ღირებულების 41 პლანშეტური კომპიუტერი³¹ და 2,029,108 ლარის ღირებულების მოტოციკლი Piaggio MP3 500 hpe Sport Advance ვიდეორეგისტრატორით, რომლებიც 2022 წლის 28 იანვარს და

²⁸ მათ შორის: სოციალური სააგენტოს აქტივები - 196,932 ლარი ისტორიული ღირებულებით, ცენტრალური აპარტი - 182,481 ლარი.

²⁹ სსბასს 17, მუხლი 67 და სსბასს 11, მუხლი 103.

³⁰ სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები.

³¹ 2022 წლის 28 იანვრისა და 25 მარტის მიღება-ჩაბარების აქტები.

ამავე წლის 25 მარტს სამინისტრომ მიიღო და გადასცა საგანგებო სიტუაციების ცენტრს. აქტივების თვითღირებულება მოიცავდა ტრენინგისა და საგარანტიო მომსახურების საფასურს, შესაბამისად, 19,597 და 88,513 ლარის³² ღირებულებით.

შედეგად, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აქტივების საბალანსო ღირებულება გაზრდილია 88,793 ლარით, ცვეთის ხარჯი – 19,320 ლარით, საგარანტიო მომსახურების ხარჯი შემცირებულია 44,985 ლარით, ხოლო მოკლევადიანი მოთხოვნები – 43,528 ლარით.

- სხვადასხვა დასახელების აქტივი,³³ რომელიც Motorola Solutions Germany GmbH-სა და სამინისტროს შორის 2020 წლის 6 ნოემბერს გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად, 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის სექტემბრამდე პერიოდში სამინისტრომ მიიღო³⁴ საგანგებო სიტუაციების ცენტრზე გადასაცემად. აღნიშნულ აქტივებს თან ახლდა ლიცენზია, ტრენინგისა და 1-წლიანი საგარანტიო მომსახურება, რომლის საბოლოო მიღების თარიღად მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია 2021 წლის 23 აპრილი, საგანგებო სიტუაციების ცენტრში მონტაჟი დათარიღებულია 2021 წლის 28 ივნისით. აქტივის ჯამური ღირებულება შეადგენდა 8,378,195 ლარს, მათ შორის, აქტივების ღირებულება – 7,268,938 ლარი, ტრენინგების – 143,025 ლარი, საგარანტიო მომსახურების – 121,181 ლარი, ლიცენზიის – 845,050 ლარი.

აღნიშნული აქტივების საგანგებო სიტუაციების ცენტრისთვის გადაცემა ბუღალტრულ რეესტრებში გატარებულია 2022 წლის 19 ივლისს, აქტივის ღირებულებით – 8,378,195 ლარი და დაწყებულია ცვეთის დარიცხვა.

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შემცირებულია ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი 462,573 ლარით,³⁵ საგარანტიო მომსახურების ხარჯი – 70,689 ლარით. გაზრდილია „ძირითადი აქტივების“ 2022 წლის საბოლოო საბალანსო ღირებულება 1,064,863 ლარით, ხოლო არამატერიალური აქტივების – 84,505 ლარით.

- 10 ერთეული ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის აპარატი, ღირებულებით – 461,766 ლარი, რომელიც სამინისტრომ მიიღო³⁶ შპს „ემ-დი-ესისგან“ 2020 წლის 7 და 14 ივლისს, საგანგებო სიტუაციების ცენტრისთვის გადასაცემად. აღნიშნული აქტივების საგანგებო სიტუაციების ცენტრზე გადაცემა ბუღალტრულ რეესტრებში აისახა 2022 წლის 7 დეკემბერს.

აღრიცხვის ინსტრუქციის³⁷ მიხედვით, ეს აქტივები საგანგებო სიტუაციების ცენტრს ძირითადი აქტივების ანგარიშზე უნდა აღერიცხა 2020 წელს და დაეწყო მათზე ცვეთის დარიცხვა. შედეგად, ამ აქტივებზე 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

³² 1-წლიანი გარანტია პლანშეტური კომპიუტერებისთვის - 12,425 ლარი და 2-წლიანი გარანტია - მოტოციკლისთვის, 78,576 ლარის ღირებულებით.

³³ ხელის, სენსორული და ავტომატური რაციები, საბაზო სადგური პროგრამული პაკეტით, მართვის პულტის მოწყობილობა, სტატისტიკური გარდამქმნელი, სვიჩით, ენერგოსისტემით და აკუმულატორით.

³⁴ 2021 წლის 11 მაისის მიღება-ჩაბარების აქტი და ამავე წლის 16 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტი N10, 14.07.2020 (კონტრაქტი COVID19/G/DC-26).

³⁵ ცვეთის ხარჯი - 413,278 ლარი, ამორტიზაციის ხარჯი - 49,295 ლარი, ტრენინგის ხარჯი სრულად მიეკუთვნება 2021 წლის ხარჯს.

³⁶ 2020 წლის 7 და 14 ივლისის მიღება-ჩაბარების N1 და N2 აქტები (კონტრაქტი COVID19/G/DC-03).

³⁷ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 7.

შემცირებულია ცვეთის ხარჯი 46,177 ლარით, ხოლო ძირითადი აქტივის ღირებულება გაზრდილია 111,593 ლარით.³⁸

საგანგებო სიტუაციების ცენტრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულია 198,115 ლარის შენობა-ნაგებობები,³⁹ რომლებიც აღარ იმყოფება მის ფაქტობრივ სარგებლობაში, 2021 წლის დასაწყისისთვის შეწყვეტილია სარგებლობის უფლება; ასევე ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 863,182 ლარის საბალანსო ღირებულების მიწის ნაკვეთები და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები, რომლებზეც არ არის გამოიჭნული შენობისა და მიწის ნაკვეთის ღირებულება.

სოციალური სააგენტოსა და ცენტრის⁴⁰ შემთხვევაში აქტივების ინვენტარიზაციის დროს არ არის გადასინჯული ძირითადი და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები, ხოლო **ცენტრალურ აპარატში** 2022 წელს ძირითადი და არამატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული, ხოლო **საგანგებო სიტუაციების ცენტრში** ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგები არ არის ასახული 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, არ გადასინჯულა „ძირითადი აქტივების“ სასარგებლო მომსახურების ვადები.

სსბასს 31-ის მიხედვით⁴¹ უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები; კერძოდ, უნდა დადგინდეს, სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია, თუ განუსაზღვრელი, რადგან განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება.⁴²

ცენტრალურ აპარატში საანგარიშო წელს არ არის გამოყენებული სსბასს 31-ის ზემოაღნიშნული მითითებები; არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი⁴³ და ყველა აქტივის მიხედვით დარიცხულია ამორტიზაციის 10%-იანი განაკვეთი.

მიზეზი

კონტროლის სისისტე, აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილია 42,725,343 ლარით. ასევე ვერ მივიღეთ რწმუნება „ძირითადი აქტივების“ და „არამატერიალური აქტივების“ საბოლოო ნაშთის შესაბამისად, 97,495,542 და 857,966 ლარის სისრულესა და სისწორეზე.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს წინა წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები, რომელთა შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაციები N8, N9.

³⁸ 29 თვის ცვეთის ხარჯი.

³⁹ ქალაქ სიღნაღში, ლაგოდეხში, შუახევის რაიონში, დაბა წნორში, მარნეულში, გორსა და დაბა ხარაგაულში არსებული შენობა-ნაგებობები.

⁴⁰ გარდა „გლობალ ფონდის“ საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში არსებული აქტივებისა.

⁴¹ სსბასს 31 - არამატერიალური აქტივები, მუხლი 87.

⁴² სსბასს 21, მუხლი 26.

⁴³ სსბასს 21, მუხლი 26 და სსბასს 26, მუხლი 25.

კომპონენტები, რომელზეც საგანგებო სიტუაციების ცენტრი, ცენტრალური აპარატი და სოციალური გაიცა რეკომენდაცია სააგენტო.
შესასრულებლად

1.5 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

ცენტრალური აპარატის „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ საბოლოო ნაშთში ასახულია:

- დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე 2010-2013 წლებში შესყიდული 1,724,970 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების პროექტები, რომლებიც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არ არის იდენტიფიცირებადი და ინვენტარიზაციის გარეშე ვერ ხორციელდება პროექტის შემდგომი გამოყენების საკითხის განხილვა. აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,⁴⁴ სტანდარტში მოცემულია ინფორმაცია გაუფასურების ინდიკატორების შესახებ, ორგანიზაციას 2022 წელს არ განუხილავს გაუფასურების ინდიკატორების არსებობის საკითხი. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება, დაკმაყოფილებულია თუ არა მათი აქტივად აღიარების კრიტერიუმები.⁴⁵
- მეხსიერების მოდული, მყარი დისკი და მხარდაჭერის სერვისი, შესაბამისად, 1,056,221, 68,552 და 148,056 ლარის ღირებულებით, რომელიც 2022 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული სამშრივი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე,⁴⁶ 30 დეკემბერს მიიღო ტექნოლოგიების სააგენტომ. აღნიშნული აქტივები⁴⁷ აკმაყოფილებს ძირითადი აქტივის განმარტებას,⁴⁸ წარმოადგენს ცვეთად აქტივს და უნდა დარიცხვოდა ცვეთა.⁴⁹ შედეგად, ნაცვლად „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებისა,“ სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ზემოხსენებული აქტივები აღრიცხული უნდა იყოს როგორც ძირითადი აქტივი 2022 წლის საბალანსო ღირებულებით – 1,106,026 ლარი, მიმდინარე პერიოდის ხარჯი – 22,859 ლარი⁵⁰ და საგარანტიო მომსახურების ფარგლებში წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება – 143,944 ლარი.⁵¹

ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ ანგარიშზე ასახულია:

- დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის ბინები და საერთო სარგებლობის (დერეფანი, კიბის უჯრედი) ფართი, ღირებულებით – 276,944 ლარი, რომელსაც სამინისტრო ფაქტობრივად არ ფლობს და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც დევნილთა

⁴⁴ სბასს 21, მუხლი 27 და სბასს 26, მუხლი 25.

⁴⁵ სსბასს 1, მუხლი 7.

⁴⁶ გაფორმებულია მწარმოებლის - შპს „გრინ სერვისის“, შემსყიდველი - სამინისტროსა და ბენეფიციარის - ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლებს შორის.

⁴⁷ მეხსიერების მოდული და მყარი დისკი.

⁴⁸ სსბასს 17, პუნქტი 13.

⁴⁹ ცვეთის დარიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 4, პირველი, მე-3, მე-4 და 4' პუნქტები.

⁵⁰ მათ შორის, ცვეთის ხარჯი - 18,746 ლარი, საგარანტიო მომსახურების ხარჯი - 4,113 ლარი.

⁵¹ მათ შორის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები - 49,352 ლარი და „სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები“ და „არაფულადი მოთხოვნები“ - 94,591 ლარი.

ოჯახებზე, ასევე სახელმწიფოზე, არ იმიჯნება საკუთრების უფლება ფიზიკურ პირსა და სახელმწიფოს შორის;

- ეკომიგრანტებისა და დევნილებისათვის გადასაცემად 1999-2011 წლებში შესყიდული საქართველოს რეგიონებში მდებარე შენობები, ღირებულებით – 587,305 ლარი, რომლებისთვისაც წლების განმავლობაში ვერ დგინდებოდა საკადასტრო კოდები და არ იყო მოძიებული შესყიდვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია. წინა წლის აუდიტის ანგარიშის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის ფარგლებში დევნილთა სააგენტოს დირექტორის ბრძანების⁵² შესაბამისად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის წევრებმა მოიძიეს, დააიდენტიფიცირეს და დააზუსტეს საკუთრების შესახებ ინფორმაცია.⁵³ აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, 2022 წლის მდგომარეობით, 57 საცხოვრებელი სახლი, ღირებულებით – 252,206 ლარი, უკვე გადაცემულია ეკომიგრანტებზე.

მიზეზი ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; აქტივების არასათანადო კონტროლი; სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილია 1,525,035 ლარით; ასევე ვერ მივიღეთ რწმუნება 2,001,914 ლარის აქტივების არსებობასა და სისწორეზე.

რეკომენდაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაციებმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებით შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. შეფასდეს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული აქტივები აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს; ასევე შემუშავდეს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული აქტივების საბუღალტრო რეგისტრებში სრულ, დროულ და ზუსტ ასახვას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს წინა წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსებია: მიმდინარე და ნაწილობრივ შესრულებული (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაციები N5, N6, N7.

კომპონენტები, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია ცენტრალური აპარატი და დევნილთა სააგენტო.

შესასრულებლად

1.6 განმარტებითი შენიშვნები

⁵² 2023 წლის 5 ივნისის ბრძანება N IDP 6 23 00000611.

⁵³ 1999 წელს - 32, 2002 წელს - 35 და 2004 წელს 101 შესყიდული სახლი.

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია განმარტებითი შენიშვნების შესახებ.⁵⁴ არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ:

არ არის წარდგენილი ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიების შესახებ.⁵⁵

2022 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბასს 20-ის მოთხოვნათა – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნების“ შესაბამისად.

განმარტებითი შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.⁵⁶

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,⁵⁷ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.⁵⁸ სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, არ ხდება მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასება და ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებზე ასახვა. საანგარიშო წელს წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებსა და საცნობარო ანგარიშგებზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სასამართლოში წარმოებული საქმეების შესახებ, ასევე მათი პირობით აქტივებსა და პირობით ვალდებულებებზე აღრიცხვის საკითხები, კერძოდ:

- **ცენტრალური აპარატის** მიერ წარდგენილი საცნობარო მუხლები სრულყოფილად არ ასახავს ინფორმაციას მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღრიცხვის აღნიშნული ნაკლოვანება გამოწვეულია იმით, რომ საქმეები ეფუძნება შეფასებებს, რომლებიც მოითხოვს შესაბამის კომპეტენციას და ამასთან ერთად, ორგანიზაციამ ზოგიერთ საქმესთან დაკავშირებით ვერ შეძლო თანხების ზუსტი ოდენობის იდენტიფიცირება.
- **სააგენტოს** მიერ კონტროლისა და რევიზიის აქტების შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულების მხრიდან აქტის/გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, მოთხოვნა რჩება საბალანსო ანგარიშზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე; თუ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით განხორციელდა დაკისრებული სანქციის გაუქმება ან შემცირება, შესაბამისი აქტი ბალანსიდან ჩამოიწერება, როგორც აქტივების ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

სააგენტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯანდაცვის პროგრამების მიხედვით გაწეული ის მომსახურებები, რომლებზეც ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ მის წარდგენამდე დაზუსტდა და გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები, აღიარებულია „ვალდებულებების“ მუხლით, ხოლო იმ სამედიცინო მომსახურების საფუძველზე წარმოშობილი თანხები, რომელთა შესახებ

⁵⁴ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის ინსტრუქცია, მუხლი 17.

⁵⁵ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის ინსტრუქცია, მუხლი 2.

⁵⁶ სსბასს 20, 27-ე - 41-ე მუხლები.

⁵⁷ სსბასს 1, მუხლი 27.

⁵⁸ სსბასს 19.

ელექტრონული ანგარიშგების მოდულში არსებობდა ინფორმაცია – სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოთხოვნილი თანხების შესახებ, მაგრამ ჯერ არ იყო დასრულებული წარმოდგენილი დოკუმენტაციის ინსპექტირების პროცესი, აღრიცხული იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „მიმდინარე ანარიცხების“ მუხლით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებისა, 2022 წელს სააგენტოს მიერ მიმდინარე პერიოდის ხარჯებში – „სამედიცინო ხარჯებში“ აღიარებულია სამედიცინო დაწესებულებების მიერ 2021 წელს შესრულებული 421,418,722 ლარის სამუშაოს ღირებულება, რომელიც არ იყო აღიარებული წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არც შესაბამისი „სამედიცინო ხარჯების“ და არც „მიმდინარე ანარიცხების“ მუხლებზე.

შესაბამისად, 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ხარჯი მოიცავს გასული, 2021 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურებით წარმოშობილი ხარჯების ნაწილსაც, რის შესახებ ინფორმაცია არ არის გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში.

მიზეზი

არასრულყოფილი კონტროლი; ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა; არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი ყველა საჭირო ინფორმაციით; ასევე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოთხოვნების და ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების არასამართლიანი წარდგენა.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წინა წლებში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: ნაწილობრივ შესრულებული, (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია N11.

კომპონენტები, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ცენტრალური აპარატი, ჯანმრთელობის სააგენტო და რეგულირების სააგენტო.

1.7 სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა,⁵⁹ რომლის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციებსა და წესებს შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: სასამართლოში გასაჩივრებული საქმეების მიხედვით წარმოშობილი მოთხოვნები/ვალდებულებები, პირგასამტეხლოები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები,

⁵⁹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5, „ა“ ქვეპუნქტი.

სანქციებიდან და ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები და ასევე სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საკითხები.

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობით არის გამოწვეული დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის გამოყენება (მაგალითად, სოციალური სააგენტო სასამართლოში წარმოებული საქმეების მიხედვით მოთხოვნებს აღიარებს „დებიტორული დავალიანებების“ საბალანსო მუხლში, ხოლო ზოგიერთი დაქვემდებარებული ორგანიზაცია საცნობარო ანგარიშზე – „პირობით აქტივად“. ყველა შემთხვევაში სანქციებიდან და ჯარიმებიდან დარიცხული შემოსავლები ანგარიშგებაში არ არის აღიარებული შემოსავლად და სხვ.).

სამინისტროს კონსოლიდირებული ერთეულებიდან არც ერთ მათგანს არ აქვს ინსტრუქციის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა. 2021 წელს სააგენტოს შემუშავებული აქვს „სააგენტოს მნიშვნელოვანი ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომების და პოლიტიკების“ დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებით იდენტიფიცირებულია არსებითი ხასიათის პრობლემური საკითხები. ამასთანავე, კონკრეტულ გარემოებათა და მათ მიერ სააგენტოს ფინანსურ მონაცემებზე გავლენის ანალიზის შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც იძლევიან მითითებებს ეკონომიკური მოვლენის სწორად და სრულად აღრიცხვისათვის, რათა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები იყოს სამართლიანი და უტყუარი.

სამინისტროს განმარტებით, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება დაგეგმილია. არასრულყოფილი კონტროლი; ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა; არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

მიზეზი

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი ყველა საჭირო ინფორმაციით; ასევე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოთხოვნების და ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების არასამართლიანი წარდგენა.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წინა წლებში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე, (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია N12.

კომპონენტები, რომელზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტრო.

1.8 ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის მიგნება

ჰოლდინგის მიერ კონსოლიდაციისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1 და ფორმა N2 არ შეესაბამება აუდიტის ჯგუფისთვის წარდგენილ ბუღალტრულ რეესტრში ასახულ ინფორმაციას. აღნიშნულ სხვაობებთან დაკავშირებით, პასუხისმგებელმა პირმა ვერ წარმოადგინა განმარტება, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ დადგინდა განსხვავებების მიზეზები.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

2024

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰოლდინგის მიერ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების სისრულის შესახებ.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებული ოპერაციები საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა.

კომპონენტები, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

ჰოლდინგი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოთხოვნები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული რეგულირების სააგენტოს მიერ 2022 წელს ჯანდაცვის პროგრამების გეგმური და არაგეგმური რევიზიისა და კონტროლის აქტების შესაბამისად დაკისრებული სამედიცინო დაწესებულების მიერ უკან დასაბრუნებელი თანხა 10,904,013 ლარი და ფინანსური ჯარიმა – 2,461,957 ლარი.

რეგულირების სააგენტოს მიერ ცენტრის ჯანდაცვის პროგრამების გეგმური და არაგეგმური რევიზიისა და კონტროლის აქტების ფარგლებში არ არის აღრიცხული რევიზიის აქტის შესაბამისად სამედიცინო დაწესებულებებზე დაკისრებული დამატებითი ფინანსური ჯარიმები - 10,090 ლარი და უკან დასაბრუნებელი თანხა - 57,881 ლარი.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის „სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებზე“ აღრიცხულია 2 კლინიკისათვის⁶⁰ გადაცემული 11 ხელოვნური სუნთქვის აპარატი: 6 Drager Evita და 5 Mindray synovent E5, უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემით წარმოქმნილი მოთხოვნები.

2020 წლის 5 ნოემბერს სამინისტრომ ბრძანების⁶¹ საფუძველზე, „ლჯ და კომპანია“ უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში ერთი წლით გადასცა 5 ხელოვნური სუნთქვის აპარატი, ღირებულებით – 208,536 ლარი. მინისტრის 2021 წლის 12 ნოემბრის N01-453/ო ბრძანებით სამინისტროს ქონების გადაცემის ვადა გახანგრძლივდა კიდევ ერთი წლით.

2022 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, 2020 წლის 25 ნოემბერს სამინისტრომ მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის №01-557/ო ბრძანების საფუძველზე, შპს „ქუთაისის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საეკლესიო საავადმყოფოს - უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში ერთი წლით გადასცა 6 ხელოვნური სუნთქვის აპარატი,⁶² ხოლო მინისტრის 2021 წლის 19 ნოემბრის №01-464/ო ბრძანებით სამინისტროს ქონების გადაცემის ვადა გახანგრძლივდა კიდევ ერთი წლით.

იმის გათვალისწინებით, რომ აქტივების გადაცემის ვადა 2022 წლის 6 და 25 ნოემბერს დასრულებული იყო და სამინისტრომ ვერ წარმოადგინა ამ ვადების გაგრძელების ან სხვაზე გადაცემის დოკუმენტაცია, 2022 წლის ბოლოსათვის ეს აქტივები აღრიცხული უნდა იყოს სამინისტროს ბალანსზე ამორტიზებული ღირებულებით და შესაბამისად, შემცირებული უნდა იყოს მოკლევადიანი მოთხოვნები.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ცენტრალური აპარატი, სააგენტო, რეგულირების სააგენტო და ცენტრი.

2.2 ძირითადი და სხვა არაფინანსური აქტივები

⁶⁰ შპს „ქუთაისის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საეკლესიო საავადმყოფოსთვის“ (ს/კ 212685414) და შპს „ლჯ და კომპანია“ - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრისთვის“ (ს/კ 212691354).

⁶¹ ჯანდაცვის მინისტრის 2020 წლის 3 ნოემბრის N01-534/ო ბრძანება.

⁶² 2 ხელოვნური სუნთქვის აპარატი (Drager Evita XL), ღირებულებით - 42,029 ლარი და 4 ხელოვნური სუნთქვის აპარატი (Drager Evita 4 edition) ღირებულებით - 72,464 ლარი.

აუდიტის მიგნება

სოციალური სააგენტოს ბალანსზე აღრიცხულ 6 სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლებიც შეძენილია 2022 წლის მაისში, ნაცვლად 7 თვისა, ცვეთა დარიცხულია მთელ საანგარიშგებო წელზე. შედეგად, შემცირებულია ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება და შესაბამისად გაზრდილია ცვეთის ხარჯი 19,703 – ლარით.

ცენტრალური აპარატის ბალანსზე აღრიცხულ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლებიც შეძენილია 2021 წლის დეკემბერში, ტექნიკური ხარვეზის გამო ცვეთა ნაცვლად 12 თვისა, დარიცხულია 1(ერთი) თვეზე. შედეგად, გაზრდილია ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება და შესაბამისად შემცირებულია ცვეთის ხარჯი 9,392 ლარით.

ცენტრალური აპარატის „სხვა არაფინანსური აქტივების ანგარიშზე“ აღრიცხულია:

- ა(ა)იპ – ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალზე იჯარით გაცემული აქტივი – 980,000 ლარის ღირებულების მრავალშრიანი ტომოგრაფიული სისტემა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე კლინიკაზე გადაცემული იყო 27 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული აქტივი 2022 წლის მაისიდან აკმაყოფილებდა ძირითადი აქტივის აღიარების კრიტერიუმს და უნდა დარიცხოდა ცვეთა 8 თვის განმავლობაში. შედეგად, 2022 წლის ცვეთის ხარჯი შემცირებულია 46,667 ლარით და ამავე თანხით გაზრდილია აქტივების ღირებულება.
- 74,360 ლარის აქტივი - სტანდარტული პორტატული კომპიუტერი, რომლებიც 2021 წელს გადაცემულია სამინისტროს პასუხისმგებელ პირებზე და შესაბამისად, ცვეთაც უნდა დარიცხვოდ.

ცენტრალური აპარატის საცნობარო მუხლზე აღრიცხულია 8 ერთეული ავტომობილი, რომელთაც იყენებს აპარატი და 2023 წლის სადაზღვევო მიზნებისათვის, სხვა ბალანსზე არსებულ მანქანებთან ერთად, შეფასებულია ჯამურად – 223,000 ლარად. ორგანიზაციის შეფასებით მათი სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს **ცენტრალური აპარატი** ფლობდა სანდო ინფორმაციას დასახელებული მანქანების სამართლიანი (რეალური) ღირებულების შესახებ, შესაძლებელი იყო მათი სამართლიანი (რეალური) ღირებულების დადგენა – ერჯერადი შეფასებით. შესაბამისად, ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 211,850 ლარი, ხოლო მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი – 11,150 ლარი.

სოციალური სააგენტო და ცენტრალური აპარატი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

2.3 არამატერიალური აქტივები**აუდიტის მიგნება**

ცენტრის „არამატერიალური აქტივების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 24,031 ლარით, რადგან იმ არამატერიალურ აქტივებზე, რომელთა მიმართ 2020 წელს დადგინდა ახალი სასარგებლო მომსახურების ვადები, ამორტიზაციის წლიური თანხა დაანგარიშებულია საწყისი ისტორიული ღირებულების და არა – 2020 საანგარიშო წლის დასაწყისში არსებული საბალანსო ღირებულების მიხედვით.

ცენტრი.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

აუდიტის მიგნება

სააგენტოს ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში არ არის ასახული 40,250 ლარის ხარჯი, რომელიც წარმოშობილია 2 სამედიცინო დაწესებულების მიმართ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების შედეგად. აღნიშნული გამოწვეულია მექანიკური შეცდომით და ბუღალტრულად ასახულია 2023 წელს კორექტირების გატარებებით.

ცენტრის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ხარჯები ბუღალტრული რეესტრის – Oris-ის მონაცემებთან შედარებით, 139,859 ლარით ნაკლები არის წარდგენილი. აღნიშნული სხვაობა, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, წარმოადგენს 2021 საანგარიშგებო წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების არაჯეროვნად შესრულებისა და სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის გამო, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელი იურიდიული პირებისადმი დარიცხული ჯარიმების მექანიკურად ჩამოწერის დაკორექტირებას. შედეგად, წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები 139,856 ლარით შემცირებულად არის წარდგენილი.

**კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა**

სააგენტო და ცენტრი.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია N1	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი და წილობრივი შენატანებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია N2	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდეს ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობების გამიჯვნა და გაძლიერდეს შეთანხმებული პირობების შესრულებაზე კონტროლი.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია N3	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალური აპარატის, ცენტრისა და სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია N4	შემუშავდეს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური მარაგების სათანადო აღრიცხვას, რაც ასევე მინიმუმამდე შეამცირებს შეცდომების რისკს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია N5	დევნილთა სააგენტოს და ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს აქტივების შესახებ სრული ინფორმაციის მოძიება (საკადასტრო კოდი, დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საკუთრების უფლების შესახებ ინფორმაცია), განახორციელოს ქონების სრული და ანალიზური აღრიცხვა შესაბამისი ფართების და ღირებულების მიხედვით, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, საკითხი განმარტოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია N6	დევნილთა სააგენტოში, სააგენტოსა და ცენტრალურ აპარატში ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს მოცემული აქტივები აღიარების კრიტერიუმებს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია N7	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, დევნილთა სააგენტომ და ცენტრალურმა აპარატმა შეიმუშაონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მხარეთა შორის ეფექტიან კომუნიკაციას და პირველადი დოკუმენტაციის და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულ მიმოცვლას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია N8	ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი მუხლების აღრიცხვის სიზუსტისა და სისრულის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს ფაქტობრივ მფლობელობაში ღირებულების გარეშე არსებული აქტივების და ასევე იმ ამორტიზებული აქტივების, რომლებიც აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს, შეფასება და აღრიცხვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია N9	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციებმა არამატერიალური აქტივები დააკლასიფიცირონ როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივებად და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატარონ გაუფასურების ტესტირება. ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს მოცემული აქტივები აღიარების კრიტერიუმებს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია N10	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციებმა არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების სახით თითოეული ხელშეკრულების პირობების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, მათი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა განხორციელონ სსბასს-ების მითითებებით დარიცხვის მეთოდის შესაბამისად; სამინისტრომ შეიმუშაოს შემოსავლების, მათ შორის, ჯარიმების ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია N11	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს დროული და ფორმალიზებული კომუნიკაცია საფინანსო და იურიდიულ

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

სამსახურებს შორის, შეფასდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და, შესაბამისად, აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები.
ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია N12

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროში შემავალმა საბალანსო ერთეულებმა ცენტრალურ აპარატთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან, ინფორმაციის გამოტოვებასთან დაკავშირებული რისკისა და განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას; ასევე, მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებას.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

მიმდინარე.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	თამარ ბაბუნაშვილი ელფოსტის მისამართი: tbabunashvili@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE